თელავის გაზეთი

№2 2024 წ.

დეპუტატების შეხვედრა სტუდენტებთან

საქართველოს პარლამენტის წევრები, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ და მათ ევროინტეგრაციის მიმართულებით გატარებულ რეფორმებზე მიაწოდეს ინფორმაცია.

პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილი და საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი სტუდენტებს უნივერსიტეტის რექტორმა, შალვა ჭკადუამ წარუდგინა და დეპუტატებს სტუმრობისათვის მადლობა გადაუხადა.

პარლამენტის წევრებმა ვრცლად ისაუბრეს საქართველოს ევროინტეგრაციაზე, ქვეყნისათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების საკითხზე და გამოწვევებზე, რაც ევროკავშირში გაწევრიანებისათვის სახელმწიფომ უნდა დაძლიოს, მათ უპასუხეს სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

დეპუტატებმა სტუდენტებს საჩუქრად გადასცეს საქართველოს პარლამენტის მიერ გამოცემული კრებული „ევროკავშირთან ასოცირების სამართლებრივი საფუძვლები“.

პარლამენტის წევრებთან ერთად, სტუდენტებთან შეხვედრას, სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში გიორგი ალადაშვილი ესწრებოდა.

წარმატებული დასაწყისი

„თელავის გაზეთის“ წარდგენა საზოგადოების წინაშე მისი პირველი ნომრის გამოსვლისთანავე გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთის გამოცემას სრული მხარდაჭერა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა – ქალაქად თუ სოფლად. მოქალაქეები გვილოცავდნენ, გვწერდნენ, თუ სად შეიძლებოდა მისი შეძენა... ესეც ცხადყოფს, რომ თელაველებმა კარგად იციან გაზეთის მნიშვნელობა, მისი ფასი და ალბათ, სულ მალე, ტირაჟის გაზრდაც მოგვიწევს.

პირველი წარდგენა თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა, რომლის ფოიეში გამოფენილი იყო თელავში არსებული სხვადასხვა დროის გაზეთები. მათი ფურცლებიდან მოჩანდა ჩვენი ქალაქის და რაიონის ისტორია, მშრომელი ადამიანების ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები თუ წერილები, რომლებიც გვახსენებენ დროის მაჯისცემას. ასეა... გადის ათწლეულები, ზოგჯერ საუკუნეც და გაზეთი ინახავს ამ ისტორიებს...

საზოგადოების წინაშე „თელავის გაზეთის“ წარდგენას თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი და თელავის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ მთვარელიშვილი ესწრებოდნენ. თითოეულმა მათგანმა ხაზი გაუსვა გაზეთის მნიშვნელობას ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით. მათი თქმით, ბევრ მოქალაქეს, განსაკუთრებით სოფელსა თუ ქალაქში მცხოვრებ ხანდაზმულ პენსიონერებს, ან იმ ადამიანებს, ვინც ინტერნეტს არ მოიხმარს და ვისაც აინტერესებს რა ხდება ჩვენს მუნიციპალიტეტში, გაზეთი გააცნობს სიახლეებს, წარმატებულ ადამიანებს... გაზეთის რედაქტორმა ნელი ცქიტიშვილმა მადლიერება გამოხატა მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ „თელავის გაზეთი“ არა მხოლოდ ახალ ამბებს, მიმდინარე პროექტებს, ღონისძიებებს გააშუქებს, არამედ პოპულარიზაციას გაუნევს წარმატებულ სპორტსმენებს, დამსახურებულ ადამიანებს, განათლებისა თუ კულტურის მუშაკებს, მეწარმეებს, ფერმერებს, ახალგაზრდობას...

გაზეთის პრეზენტაციაზე შეკრებილი საზოგადოების წარმომადგენლებმა, იმ ადამიანებმა, ვინც ინიციატივით მიმართეს მერიას ადგილობრივი გაზეთის აღდგენასთან დაკავშირებით, მადლობა გადაუხადეს თელავის მუნიციპალიტეტის მერს ლევან ანდრიაშვილს მათი თხოვნის მხარდაჭერისა და საქმედ ქცევისათვის. თავის მხრივ, ბატონმა ლევანმა ისაუბრა გაზეთის მნიშვნელობაზე, თელავში საუკუნოვანი ტრადიციის აღდგენა-გაგრძელებაზე და იმედი გამოთქვა, რომ გაზეთი იქნება მრავალფეროვანი და გააშუქებს მოსახლეობისათვის საინტერესო საკითხებს.

გაზეთის წარდგენა, აგრეთვე, გაიმართა თელავის კულტურის ცენტრში და განათლების რესურსცენტრში. გაზეთის გამოსვლას მიესალმნენ ღვაწლმოსილი ჟურნალისტები, კულტურის და განათლების სფეროს წარმომადგენლები, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები. თითოეული გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ თელავს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ადგილობრივი გაზეთი, რომ ბეჭდური მედიის არსებობა ასეთი დიდი ტრადიციების ქალაქში მეტად მნიშვნელოვანი კულტურული და საზოგადოებრივი მოვლენაა.

თელავში პრესის ისტორიის საინტერესო საკითხებზე ისაუბრა და დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს უპასუხა „თელავის გაზეთის“ რედაქტორმა ნელი ცქიტიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, რომელთა მხარდაჭერითაც გაზეთი გამოვიდა და მკითხველებს მჭიდრო თანამშრომლობა შესთავაზა, რათა თელავის გაზეთი საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს, რათა აღარასოდეს შეჩერდეს თელავში, ბეჭდური მედიის ასწლოვანი ტრადიციის ქალაქში, ადგილობრივი გაზეთის გამოსვლა.

ინფრასტრუქტურული პროექტების მხრივ, ეს წელი კიდევ უფრო მასშტაბური იქნება

„რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიღწევები ბევრია, მაგრამ მიღწევების პარალელურად არსებობს გამოწვევები, რომელთა მოგვარებაზე სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და ადგილობრივი თვითმმართველობები ერთობლივი ძალისხმევით ვმუშაობთ“.

ინტერვიუ კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულთან გიორგი ალადაშვილთან.

(თემის გაგრძელება გვ.3)

თელავის აეროპორტის მომავალი

საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ გასული წლის დეკემბრის ბოლოს თელავის აეროპორტის ტერმინალის პროექტირებაზე კონკურსი გამოაცხადა. მასში მონაწილეობა 13-მა პრეტენდენტმა მიიღო, საბოლოოდ კი არქიტექტორ გიორგი ხმალაძის კომპანიამ გაიმარჯვა, რომელიც პროექტს 296 000 ლარად შეასრულებს.

(თემის გაგრძელება გვ.2)

თეა წულუკიანი თელავს ესტუმრა

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი განაგრძობს სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედ სამუსიკო სკოლებსა და სასწავლებლებში ვიზიტს. იგი ამჯერად თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის და სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თელავის სალოტბარო სკოლის წარმომადგენლებს და მოსწავლეებს შეხვდა.

(თემის გაგრძელება გვ.7)

მოსახლეობასთან კონსულტაციები დასრულდა

თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრები დასრულდა.

მუნიციპალიტეტში შემავალი 29 სოფლის მოსახლეობამ, კენჭისყრის პრინციპით, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტები შეარჩია: სანიაღვრე არხების, გარე განათების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, წყლის რეზერვუარების დამატების, გასართობი საბავშვო სივრცეების და სხვა.

(თემის გაგრძელება გვ.2)

მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე

მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღეს სამეცნიერო მიღწევებისთვის ნინო ვეფხიშვილი დაჯილდოვდა.

(თემის გაგრძელება გვ.4)

თელავის სამხატვრო სკოლამ 2024 სერგო ასლანიშვილის წლად გამოაცხადა

წელს, თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის დამაარსებლის სერგო ასლანიშვილის 100 წლის იუბილე აღინიშნება.

(თემის გაგრძელება გვ.6)

მარიამ ფროდიაშვილის ტრიუმფი

ჩვენმა თანაქალაქელმა, მარიამ ფროდიაშვილმა ზედიზედ რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება ჩაიწერა თავის სპორტულ ბიოგრაფიაში. მან მსოფლიოს თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო უნგრეთიდან ევროპის ახალგაზრდული რეკორდით, ევროპის ჩემპიონის ტიტულით და ოქროს მედლებით დაბრუნდება საქართველოში.

(თემის გაგრძელება გვ.8)

ინფორმაცია: ფაქტები, ციფრები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

მოსახლეობასთან კონსულტაციები დასრულდა

თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრები დასრულდა.

მუნიციპალიტეტში შემავალი 29 სოფლის მოსახლეობამ, კენჭისყრის პრინციპით, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტები შეარჩია: სანიაღვრე არხების, გარე განათების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, წყლის რეზერვუარების დამატების, გასართობი საბავშვო სივრცეების და სხვა.

ბოლო შეხვედრები სოფელ ფშაველსა და ლეჩურში გაიმართა.

ლეჩურში შეხვედრას თელავის მუნიციპალიტეტის მერთან, ლევან ანდრიაშვილთან ერთად, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული – გიორგი ალადაშვილი და თელავის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მამუკა ბურდიაშვილი ესწრებოდნენ.

სოფელ ლეჩურში სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწესრიგება დაიგეგმა, ხოლო ფშავლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფელში გარე განთების ქსელი მოწესრიგდება.

როგორც თელავის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან ანდრიაშვილმა აღნიშნა, მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან პირდაპირი კომუნიკაცია, რადგან, მათთან საუბრის და მსჯელობის დროს, უკეთ გრძნობ ამა თუ იმ საკითხის გადაჭრის აუცილებლობას,. შეხვედრების დროს წამოჭრილი პრობლემების და საკითხების მოგვარების დაგეგმვისას, პირველ რიგში, ვითვალისწინებთ უფრო მეტად მნიშვნელოვანს.

პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტის გამოვლენა სწორედ მათთან კონსულტაციების შედეგად იგეგმება. რამდენიმე დღის წინ, ასეთი შეხვედრები თელავის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობასთანაც გაიმართა. თეთრიწყლების, ნადიკვრის, კობაძეს, სეროდანის, პანტიანის მოსახლეობამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს კენჭი უყარა.

გამოიკვეთა პრიორიტეტული პროექტები:

– ნადიკვარი – სავარგულებთან მისასვლელი გზის მოწესრიგება;

– თეთრიწყლები – ნასოფლართან მისასვლელ გზაზე ხიდ-ბოგირის მოწყობა და გზის მოპირკეთება-მობალასტება;

– კობაძე – სასაფლაოს შემოღობვა;

– სეროდანი, პანტიანი – კობაძე-სეროდანი-პანტიანის დამაკავშირებელი გზის მოწყობა.

თელავის მუნიციპალიტეტში, მიმდინარე წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების განხორციელებისთვის ჯამურად 956 000 ლარია გამოყოფილი.

სპორტული ინფრასტრუქტურა

ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის და სპორტული მიღწევებისთვის მნიშვნელოვანია კარგი სპორტული ბაზები და მოედნები.

2023 წელს თელავის მუნიციპალიტეტში მოეწყო:

- 8 ახალი, ხელოვნურსაფარიანი მინი მოედანი;
- მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრცე;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ჩოგბურთის კორტები;

- მიმდინარეობს გივი ჩოხელის სახელობის სტადიონის მიმდებარედ, სათადარიგო სტადიონის სამშენებლო სამუშაოები. სათადარიგო ფეხბურთის მოედანზე ბალახის საფარის დაგება დასრულდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, ტერიტორიაზე მოეწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუნებრივსაფარიანი სტადიონი და ტრიბუნები, შემოიღობა მოედანი, აშენდა გასახდელები და სველი წერტილი.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 2 649 473 ლარს შეადგენს, ხორციელდება საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

*თელავში, მირიან ცალქალამანიძის სახელობის ჭიდაობის სპორტული სკოლის იატაკის და კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

ბიუჯეტი: 275 000 ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი).

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის ბიუჯეტიდან ჯამში 10 138 118 ლარი გამოიყო მიმდინარე წელს, კვლავ გაგრძელდება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და შეირჩევა ის ადგილები, სადაც მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ამისი საჭიროება დასახელდა.

თელავის აეროპორტის მომავალი

საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ გასული წლის დეკემბრის ბოლოს თელავის აეროპორტის ტერმინალის პროექტირებაზე კონკურსი გამოაცხადა. მასში მონაწილეობა 13-მა პრეტენდენტმა მიიღო, საბოლოოდ კი არქიტექტორ გიორგი ხმალაძის კომპანიამ გაიმარჯვა, რომელიც პროექტს 296 000 ლარად შეასრულებს.

ერეკლე II-ს სახელობის თელავის აეროპორტი 2024 წლიდან შიდა ფრენების მომსახურებას დაიწყებს. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, მოხდება არსებული აეროპორტის რეკონსტრუქცია და მისი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი 1,7 კმ-მდე დაგრძელდება. „შიდა ავიაციის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თელავის აეროპორტის რეკონსტრუქციას ვიწყებთ. აქ ახალი სატერმინალო ინფრასტრუქტურა მოეწყობა. შესაბამისად ჩვენ გვექნება პირდაპირი კავშირები ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან, ბათუმის, ამბროლაურის და მესტიის აეროპორტებთან, სადაც ჩვენს ქვეყანას საკმაოდ თანამედროვე ინფრასტრუქტურა გააჩნია. დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ტურისტს ერთი დღის განმავლობაში შეუძლია საზღვაო კურორტიდან ძალიან მნიშვნელოვანი გასტრო ენეოლოგიური კურორტი მოინახულოს. ასევე ძალიან საინტერესო ადგილებს ეწვიოს მთაში, იგივე მესტიაში. შიდა რეგულარული რეისები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც ტურისტს ასევე შიდა ავიაციის განვითარებას“, – აღნიშნა დავითაშვილმა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თქმით, პროექტის წინასწარი ბიუჯეტი 25 მლნ ლარია, თუმცა თანხა პროექტირების დასრულების შემდეგ დაზუსტდება. მინისტრი ამბობს, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ თელავის

აეროპორტში მცირე ბორტებით საერთაშორისო რეისების მიღებაც იქნება შესაძლებელი, ხოლო შემდგომ გაფართოების ეტაპზე კი „მიმინო“ ჩარტერულ რეისებსაც მიიღებს. „თელავის აეროპორტს სტატუსი ექნება საერთაშორისო იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ყველა საერთაშორისო სტანდარტს დავაკმაყოფილებთ. ეს არის პირველი ეტაპი იმისათვის, რომ შიდა ფრენები განხორციელდეს ეფექტურად. უცხოეთიდან მცირე ბორტების მიღების საშუალება გვექნება. თუმცა ტერმინალში გათვალისწინებული იქნება ყველა ის ოპერაცია, რაც საერთაშორისო გადაზიდვებისთვის არის აუცილებელი. ხოლო შემდეგი ფაზის პირობებში კი ჩვენ შეგვეძლება, რომ უფრო ფართო, იგივე ჩარტერული რეისების მიღება მოვახერხოთ“, – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ინტერვიუ კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულთან

გიორგი ალადაშვილი: ინფრასტრუქტურული პროექტების მხრივ, ეს წელი კიდევ უფრო მასშტაბური იქნება

– როდის დაინიშნეთ ამ თანამდებობაზე და რა ძირითადი გამოწვევები დაგხვდათ კახეთის რეგიონში საქმიანობის დაწყებისას?

– კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე დავინიშნე 2022 წლის აგვისტოში. კახეთის რეგიონი ჩემი მშობლიური მხარეა, წარმოშობით გახლავართ სიღნაღის მუნიციპალიტეტიდან. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიღწევები ბევრია, მაგრამ მიღწევების პარალელურად არსებობს გამოწვევები, რომლის მოგვარებაზე სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და ადგილობრივი თვითმმართველობები ერთობლივი ძალისხმევით ვმუშაობთ. ერთ-ერთ გამოწვევად, რაც 2022 წელს თანამდებობაზე დანიშვნისას დამხვდა, შეიძლება დავასახელო წყალმომარაგება, რაც წლების მანძილზე ჩვენთვის და ჩვენი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა. ამჟამადაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფის მიზნით. ამ ეტაპზე აღნიშნული პრობლემა მოგვარებულია თელავში და მიმდინარე წელს დანარჩენ მუნიციპალიტეტებშიც ანალოგიური შედეგი გვექნება, საბოლოოდ, გადაიჭრება წყალმომარაგების მიმართულებით არსებული გამოწვევა, რაც ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე დადებითად აისახება. ეს მართლაც დიდი ძალისხმევის და შრომის შედეგია.

– როგორ შეაჯამებდით განვლილ პერიოდს, რა გაკეთდა რეგიონში 2023 წელს ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის და სხვადასხვა მიმართულებით?

– 2023 წელი კახეთის რეგიონში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების წელი იყო. დასრულდა ისეთი პროექტები, რომლებმაც მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე დადებითი გავლენა იქონია. დავიწყებ საგზაო ინფრასტრუქტურით: დასრულდა თბილისი-საგარეჯოს 35 კმ-იან ჩქაროსნულ მაგისტრალზე პირველი 4 კმ-იანი, 4 ზოლიანი მონაკვეთის (ვაზიანის შემოვლითი გზის) მშენებლობა და მასზე ავტოტრანსპორტი უკვე მოძრაობს. კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში კეთდება მუნიციპალური გზები, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის, ასევე, ცენტრალური მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

აქვე აღსანიშნავია, რომ აქტიურად მიმდინარეობს ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც 2024 წელს დასრულდება. მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა უსაფრთხოს და კომფორტულს გახდის გადაადგილებას, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლების, ისე რეგიონში ჩამოსული ვიზიტორებისთვის. წყლის უწყვეტ მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხზე ზემოთ უკვე აღვნიშნე.

რეგიონის ტურისტული პოტენციალის ათვისებისა და განვითარების მიზნით, არაერთი მნიშვნელოვანი ტურისტული დანიშნულების ადგილი შეემატა კახეთს. 2023 წელს, დასრულდა ისტორიული ციხე - ქალაქების კვეტერას (ახმეტა) და ხორნაბუჯის (დედოფლისწყარო) მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მისასვლელი გზების მშენებლობა. ასევე, დასრულდა ყვარელში, ილიას გორაზე რეკრეაციული სივრცის მოწყობა.

პროგრამა „განახლებული რეგიონები“ კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში წარმატებით განხორციელდა, რამაც შედეგად მოგვცა ქალაქების სრულიად ახალი იერსახე. ამ ყოველივემ, ჩვენი მხარე მოსახლეობის საცხოვრებლად კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ერთად, ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებიც გაჩნდა.

1 ჰექტარზე გაშენდა კულტურისა და დასვენების პარკი ნნორში, აგრეთვე, ქ.თელავს ახლახანს კარგი სარეკრეაციო სივრცე შეემატა; აქტიურად მიმდინარეობს „განახლებული რეგიონები“-ს პროგრამით დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხში მასშტაბური, სარეკრეაციო არეალების მშენებლობა,

ხაზგასასმელია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა. ამ მიმართულებით, გრძელდება აქტიური მუშაობა, რადგან ახალგაზრდა თაობის განათლების ხელშეწყობა და მათი პროფესიული განვითარება ჩვენი ხელისუფლების ძირითადი პრიორიტეტია. კახეთის რეგიონს 2023 წელს ახალი საბავშვო ბაღები შეემატა: საგარეჯოში (კაკაბეთი), ყვარელში (შილდა), თელავში (ვარდისუბანი, კურდღელაური, ქ. თელავის №1), ახმეტაში (აწყური), ამ მიმართულებით მუშაობა უწყვეტად გრძელდება და 2024 წელს, საბავშვო ბაღის ათეულობით ახალი შენობა შეემატება კახეთს.

როდესაც ვსაუბრობთ ახალგაზრდა თაობაზე, ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით, ნამდვილად გვაქვს ხელშესახები მიღწევები: თითქმის ყველა სოფელში შეიქმნა მინი სპორტული მოედნები, სარეკრეაციო სივრცეები... რაც შეეხება მასშტაბურ პროექტებს, უკვე გაიხსნა და წარმატებით ფუნქციონირებს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი. იგი მოიცავს სპორტულ დარბაზს, მაყურებლისთვის განკუთვნილ სივრცეს, გასახდელებსა და სპორტსმენების სასტუმრო ოთახებს.

ასევე, დასრულდა ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია და დასრულების ეტაპზეა ფეხბურთის სტადიონის სამშენებლო სამუშაოები ქ. თელავში.

მოკლედ რომ შევაჯამოთ 2023 წელი, ვიტყვი, რომ ამ წელმა ჩვენს რეგიონს ბევრი საინტერესო პროექტი დაგვიტოვა ყველა მიმართულებით. 2024 წელი, კი ინფრასტრუქტურული პროექტების მხრივ, კიდევ უფრო მასშტაბური და დატვირთული წელი იქნება.

– ბოლო პერიოდში, საქართველოს მთავრობამ ბევრი ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების დონეზე დადებითად უნდა აისახოს. როგორ ფიქრობთ, მოიტანა თუ არა შედეგი ამ გადაწყვეტილებებმა და აისახა თუ არა იგი მოქალაქეების ცხოვრებაზე?

– ცენტრალური მთავრობის მიერ მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაერთი ინიციატივა განხორციელდა, რაც გულისხმობს სოციალური ფონის გაუმჯობესებას და მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობას: პენსიების და ხელფასების მატება; სტატუსშეჩერებული სტუდენტების დაფინანსება; სტიპენდიების და სტიპენდიანტთა რიცხვის გაორმაგება; გაჭირვებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა; მედიკამენტების ფასების შემცირება; ჯანდაცვის და სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამები ნამდვილად არის ის არასრული ჩამონათვალი, რაც მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა.

– მოსახლეობასთან ურთიერთობა, შეხვედრები, მათი ხედვა, განწყობები არის თუ არა თქვენთვის რეალური სურათის აღქმის, არსებული ვითარების შეფასების ობიექტური კრიტერიუმი?

– მუდმივად მაქვს კომუნიკაცია მოსახლეობასთან, სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან შეხვედრები გავმართე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან: ექიმებთან, პედაგოგებთან, ფერმერებთან, საჯარო სკოლების მოსწავლეებთან და სტუდენტებთან, აქტიურად ვთანამშრომლობ მედიის წარმომადგენლებთან. ასევე, მუდმივ რეჟიმში ვხვდები მოსახლეობას. განსაკუთრებით აქტიურია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრები. მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან ერთად ვესწრები აღნიშნულ შეხვედრებს და პირდაპირი კომუნიკაციის გზით, თითოეულ სოფელში, მოსახლეობისგან ვგებულობთ მათ მიერ დანახულ პრობლემურ საკითხებს, ერთად ვმსჯელობთ მოგვარების გზებზე და სოფლის შემდგომ განვითარებაზე.

– რომელი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაა დაგეგმილი კახეთში 2024 წელს?

– გრძელდება ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის სამუშაოები კახეთის მიმართულებით. 2024 წელს დასრულდება თბილისი-საგარეჯოს 31 კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16.6 კმ-იანი მონაკვეთების მშენებლობა. გაგრძელდება 2023 წელს დაწყებული საგარეჯო-ბადიაურის 17 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა, რომლის დასრულება 2025 წელს იგეგმება.

კახეთში, რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდის მიერ 48 265 000 ლარის ღირებულების პროექტები განხორციელდება, რაც გულისხმობს გზების, წყლის სისტემების მოწესრიგებას, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციას, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციას...

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, ჩვენს რეგიონში, ათეულობით ახალი საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდება. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მიმართულებით სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

რამდენიმე დღეში კი კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს 31 ერთეული ახალი ავტობუსი შეემატება, რაც ტრანსპორტის მომსახურების ხარისხს გაზრდის.

– ტურიზმის განვითარება ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების და შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. რა კეთდება ამ მხრივ ჩვენს რეგიონში?

– ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება რეგიონების ეკონომიკურ მდგრადობასა და სიძლიერეზე დგას. თითოეული რეგიონი თავისი თვითმყოფადობით გამორჩეულია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში.

მე, როგორც კახეთის რეგიონის ხელმძღვანელი აქცენტს ჩვენს რეგიონზე, კახეთზე გავაკეთებ და თქვენს ყურადღებას შევაჩერებ რეგიონის ეკონომიკის იმ ძირითად მამოძრავებელ დარგებზე, როგორიც არის – სოფლის მეურნეობა და ტურიზმი.

კახეთის რეგიონში ტურიზმი არასეზონურობით ხასიათდება, რადგან თითქმის ყველა სეზონზე სხვადასხვა ტურისტული დანიშნულების ადგილს თავისი ვიზიტორი ჰყავს. თუმცა, ტურიზმი განსაკუთრებით აქტიურდება ზაფხულის და შემოდგომის სეზონზე, როცა რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტი ჩაბმულია მოსავლის აღებისა და დაბინავების ფერხულში.

2023 წელს, ვიზიტორების მიერ კახეთის რეგიონის მონახულების I-III კვარტლის სტატისტიკა ასე გამოიყურება: შიდა ვიზიტორი: 1 180 253; საერთაშორისო ვიზიტორი: 247 623.

რეგიონის მრავალფეროვანება, ტურისტულ ბაზარზე მრავალ მიმართულებას აჩენს. კახეთს სტუმრობენ - გასტრო, აგრო, ღვინის, შემეცნებითი, კულტურული და პილიგრიმული ტურიზმის მოყვარული ვიზიტორები. ვითარდება ღირებულებათა ჯაჭვი და ხდება ტურიზმის სფეროს დივერსიფიკაცია, რაც ნამდვილად მისასალმებელია. მოგეხსენებათ, რომ ბოლო წლების მანძილზე იმართება არაერთი ფესტივალი, გამოფენა, ბაზრობა, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის მდგრად პოზიციონირებას საერთაშორისო ბაზარზე, ხელს უწყობს ქართველი მეღვინეების სტიმულირებას. აქვე დავძენ, რომ ჩვენი ქვეყნის ღვინის სამშობლოდ პოზიციონირების საკითხში, კახეთის რეგიონის წვლილი გამორჩეულად დიდია, რადგან კახეთი ღირსეულად იწოდება მევენახეობა - მეღვინეობის მხარედ, ჩვენი ქვეყნის ვენახების საერთო ფართობის 65 % კახეთის რეგიონზე მოდის და სამრეწველოდ გადამუშავებული ყურძნის 80%-იც კახეთის ანგარიშზეა.

– თუ შეგიძლიათ გვითხრათ: სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ახალი პროგრამები ან პროექტები თუ განხორციელდება კახეთში მიმდინარე წლის მანძილზე?

– ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფოს სწორი პოლიტიკის გატარების შედეგია ის გარემოება, რომ კახეთი მხოლოდ მევენახეობით და ყურძნის მოსავლით როდი იწონებს თავს. მეატმეობა, ატმის მოსავლის აღება ზაფხულში, უკვე ცალკე მოვლენად იქცა. დაახლოებით 5 ათეული სამაცივრო მეურნეობა შეიქმნა კახეთში, რამაც ადგილობრივ ფერმერებს მოსავლის რეალიზაციის პრობლემა მოუხსნა. სამაცივრო მეურნეობებში საქმდებიან არა მხოლოდ კახეთის რეგიონში მცხოვრები ადგილობრივები, არამედ სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ჩვენი მოქალაქეები.

ატმის ბაღების გარდა, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებით დაფინანსდა და გაშენდა კაკლის, თხილის, ნუშის ბაღები, ზეთისხილის პლანტაციები, გაიხსნა სხვადასხვა ხილის გადამამუშავებელი საწარმოები. „აწარმოე საქართველოს“ პროგრამების ბევრი ბენეფიციარი ჰყავს კახეთს, ტურისტული საწარმოების თუ სხვა დარგების მცირე მეწარმეობის განხრით.

სახელმწიფო პროგრამები 2024 წელსაც საინტერესო პერსპექტივას უსახავს ჩვენს ფერმერებს და მცირე მეწარმეებს.

– როგორია თქვენი განწყობა წლის დასაწყისში – რა გსურთ, რა გეიმედებათ?

– 2024 წელი კიდევ უფრო ბევრი, წარმატებული პროექტის განხორციელების წელი იქნება კახეთისთვის, რაც ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონეს განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანს და ეს მიქმნის იმედიან განწყობას. მსურს ჩვენი რეგიონის და ჩვენი ქვეყნის წინსვლა და განვითარება, რისთვისაც, ჩემს გუნდთან ერთად, არ დავზოგავ დროს, ძალისხმევას და ენერგიას.

თქვენს გაზეთს კი ვუსურვებ საინტერესო საგაზეთო სტატიებს, კარგ ამბებს და ბევრ დაინტერესებულ მკითხველს. ნამდვილად მისასალმებელია ის საქმე, რაც თელავის გაზეთის ასნლოვანი ტრადიციის გაგრძელებას და გაზეთის განახლებით გამოცემას ემსახურება, წარმატებებს გისურვებთ!

– მადლობა ინტერვიუსთვის, თქვენც წარმატებული წელი გქონდეთ.

ინტერვიუ ჩაიწერა
ნელი ცქიტიშვილმა

მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე

ჯილდო – ღვაწლისა და პროფესიული საქმიანობის ერთგულებისთვის

11 თებერვალს, მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაიმართა წარმატებული მეცნიერი ქალების დაჯილდოება. ამ ჯილდოზე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი იყო აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო ვეფხიშვილი.

ქალბატონი ნინო არის იმ ფუნდამენტური კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, რომელმაც რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამწლიანი გრანტი მოიპოვა. კვლევა ინოვაციურია და იგი ეხება მიკროზონების მიხედვით ყურძნის საკუთარი საფუარის წარმოებას საქართველოში. აგრეთვე, გასულ წელს რუსთაველის ფონდის დაფინანსება მოიპოვა მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროექტმა მისი ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე ამ ახალი საფუარებისაგან წარმოებული ღვინოების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლას ეხება.

დაუღალავი შრომის, ღვაწლისა და კეთილსინდისიერი პროფესიული საქმიანობისთვის იგი ყოველთვის საპატიო ადამიანთა შორის იქნება – არის საპატიო წინანდლელი და თელავის საპატიო მოქალაქე.

ეს ყველაფერი დასაფასებელია, თუმცა, ყველაზე დიდ ჯილდოდ მაინც სტუდენტების მისდამი პატივისცემას და მათთვის გაზიარებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას მიიჩნევს.

ნინო ვეფხიშვილის თქმით, მისი ცხოვრების მთავარი აზრი ხუთი შვილიშვილია და მისი ვაჟი – ვანო შიუკაშვილი, რომელიც დედის პროფესიას გაჰყვა – არის სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი და როგორც კვალიფიციური სპეციალისტი, უცხოეთში მიღებულ ცოდნას ქართულ მეღვინეობას ახმარს.

შტრიხები პორტრეტისთვის

საკუთარ გავშვობასა და ოჯახზე:

დავიბადე სოფელ წინანდალში, გურამ ვეფხიშვილისა და მერი ბეჟუაშვილის ტრადიციულ ქართულ ოჯახში, სადაც კეთილშობილების, სტუმართმოყვარეობისა და ურთიერთპატივისცემის გარემო სუფევდა. მშობლები მუშაობდნენ და მე და ჩემს ძმას – თორნიკეს – მარიამ ბებო, სათნო და ღვთისმოშიში ადამიანი, გვზრდიდა. ბებომ მასწავლა წერა-კითხვა, ანგარიში, ქსოვა, ხელსაქმე და, უკვე მოზრდილს, სქელტანიანი წიგნების კითხვაც მან შემაყვარა.

ოჯახი შევქმენი ლევან შიუკაშვილთან, რომელიც, აწ გარდაცვლილების, ჩემი შვილების გამზრდელების, ვანო და ელენე (საშა) შიუკაშვილების, ასევე, ტრადიციული და სტუმართმოყვარე ოჯახის შვილია.

წინანდლის საშუალო სკოლა, წარჩინებით, ოქროს მედალზე დავამთავრე. ერთნაირად წარმატებული ვიყავი ყველა საგანში. სკოლის დამთავრების შემდეგ არჩევანის გაკეთება მიჭირდა – რა პროფესიით წავსულიყავი. ზოგს ეგონა ჟურნალისტი გავხდებოდი, ზოგი ფიქრობდა, რომ დედაჩემის პროფესიას გავყვებოდი და ეკონომიკურზე ჩავაბარებდი, ზოგი მუსიკოსობასაც მირჩევდა.

დიდი როლი მომავალი პროფესიის არჩევაში ითამაშა ჩემი სკოლის დირექტორმა და, იმავდროულად, ჩემი ქიმიის მასწავლებელმა ლამარა კალანდაძემ. სკოლის დამთავრებისთანავე, 1980 წელს, ერთი გამოცდით – მათემატიკაში მიღებული „5“-იანით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი.

ხელოვნების სიყვარულით

წინანდალი, ისტორიულად, კულტურული ღონისძიებებით განებივრებული სოფელია. და მე ამ ღონისძიებების მუდმივი ავტორი, წამყვანი ან დეკლამატორი გახლდით. ვკითხულობდი ილიას, ვაჟას, გალაკტიონს, თანამედროვე პოეტების ახლადშექმნილ ნაწარმოებებს, ვწერდი ტექსტებს სიმღერებისთვის. ასე მაქვს დაწერილი, მაგალითად, ტექსტი წინანდლის სამუსიკო სკოლის ჰიმნისათვის. დიდი ხანია, ვარ წინანდლის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრი. ჩემი ჰობი დღემდე დეკლამაციურად კითხვა და ქართული საგალობლების შესწავლა გახლავთ.

სტუდენტობის წლები

უნივერსიტეტში სწავლისას ვიყავი უდიდესი ქართველი ქიმიკოსის, თსუ-ს პირველი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის სახელობის სტიპენდიანტი, რაც დღემდე საამაყოა ჩემთვის; უნივერსიტეტი დავამთავრე წარჩინებით, წითელ დიპლომზე, მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის სპეციალობით, და იმავე წელს ჩავირიცხე ასპირანტურაში. მახსოვს, მისაღებ გამოცდაზე, გერმანულ ენაში, კომისიამ „5+“-ით დამიწერა და დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტზე გადასვლა შემომთავაზა, რაზედაც უარი ვთქვი.

უნივერსიტეტი ჩემთვის დიდი მეცნიერული სკოლა გახლდათ. მასწავლიდნენ ბუმბერაზი მეცნიერები, რომლებმაც ღრმა კვალი დაამჩნიეს ჩემს ინტელექტს. აქვე გავიცანი ჩემი უსაყვარლესი ლექტორი-პედაგოგი, ქიმიის დოქტორი, ქალბატონი გიული ანდრონიკაშვილი, რომელიც სტუდენტებს თავისი ნიჭით, მაღალი პროფესიონალიზმითა და ენერგიულობით გვაოცებდა.

სამეცნიერო საქმიანობა

გამოხდა წლები (ალბათ, 20-25) და.., შემთხვევითობის წყალობით, თელავში შევხვდით ერთმანეთს მე და ქალბატონი გიული: ის იმჟამად უკვე თელავის უნივერსიტეტის პროფესორი, მე – სულ სხვა სფეროში, მეღვინეობაში, დაკავებული ადამიანი. და მისი დაჟინებული თხოვნით, ჯერ დოქტორანტურა დავამთავრე თესაუში, დავიცავი დისერტაცია სასურსათო ტექნოლოგიაში, შემდეგ კი კონკურსშიც მივიღე მონაწილეობა და დავიკავე აკადემიური თანამდებობა თესაუში.

პროფესიის შეცვლა

გასული საუკუნის 90-ინი წლების მარწუხებმა „სულზე მოუსწრო“ ჩემს კარიერულ განვითარებას. „სულზე მოუსწრო“-მეთქი, ვამბობ იმის გამო, რომ ზოგადსახელმწიფოებრივი კრიზისი თუ ოჯახური გაჭირვება მაიძულებდა, ქიმიის მასწავლებლობასთან ერთად, სხვა სფეროშიც გამომეცადა ჩემი თავი. მასწავლებლად ქვ. ხოდაშნის და თეთრი წყლების საშუალო სკოლებში ვმუშაობდი. ამ უკანასკნელში ოთხი წლის განმავლობაში, დარსა თუ ავდარში, უტრანსპორტობასა და უხელფასობაში, წინანდლიდან, მაინც, დავდიოდი. თუმცა, რაკი, მივიღე გადაწყვეტილება, პროფესიის შეცვლასთან დაკავშირებით, დავამთავრე აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალი, მეღვინეობის სპეციალობით, ასევე, წარჩინებით, და 2001 წელს, როცა საქართველოს კერძო მესაკუთრეობის სიომ ის-ის იყო დაჰბერა, მუშაობა დავიწყე ღვინის კომპანია „შუმში“, სადაც დღესაც ვმუშაობ ტექნოლოგად. „შუმმა“ სრულიად უცხო სამყაროში მომახვედრა; სამყაროში, რომელსაც „ღვინო“ ჰქვია.

აქ შევხვდი ჩემს კიდევ ერთ დიდ პედაგოგს, ცნობილ მეღვინეს, გენადი (ბიჭიკო) ქუმსიაშვილს და ‘შუმის“ ხელმძღვანელობას, რომელიც მუდმივად ქართული ღვინის ინოვაციებისაკენ მიბიძგებს.

რუსთაველის ფონდის სამეცნიერო გრანტები

„შუმში“ დაიწყო დიდი ექსპერიმენტები: კარდაკარ მოძიებული, გადაშენების პირას მყოფი ქართული ავტოქტონური ვაზის ჯიშების შესწავლა, ახალი ბრენდებისა და ტექნოლოგიების შექმნა. ამას მოჰყვა უნიკალური საფერავის ჯიშისათვის საკუთარი კულტურული საფუარის გამოყვანა, რაც საფუძველი გახდა თელავის უნივერსიტეტის მკვლევართა გუნდის მიერ (მარიამ ალექსიძე, გიული ანდრონიკაშვილი, მაგდა დავითაშვილი, ვანო შიუკაშვილი), ჩემი ხელმძღვანელობით დაწერილი ფუნდამენტური კვლევითი პროექტისა, რომელმაც გასულ წელს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამწლიანი გრანტი მოიპოვა.

პროექტის მიზანია ადგილობრივი კულტურული საფუარის გამოყვანა მევენახეობისა და მეღვინეობის ყველა იმ მიკროზონის საფერავისათვის, სადაც ეს ჯიშია გავრცელებული. ქართულ მეღვინეობაში დღეს, ძირითადად, უცხოეთიდან შემოსული საფუარი გამოიყენება. ამიტომ ამ პროექტით მიღებული შედეგები უნდა წაადგეს ქართულ მეღვინეობასაც და ქართულ ეკონომიკასაც, რადგან ადგილობრივი, საკუთარი საფუარი, მაგ. ღვინო „მუკუზანისათვის“ – საფუარი „მუკუზანი“, შესაბამის ღვინოს იაფსაც გახდის და განსხვავებულსაც, სხვა მიკროზონების საფერავისაგან.

ამგვარი კვლევა – მიკროზონების მიხედვით საკუთარი საფუარის წარმოება - საქართველოში აქამდე ჯერ არ ჩატარებულა. ალბათ, ამიტომ წერენ უცხოელი ექსპერტები ამ პროექტის შესახებ, რომ: „პროექტის განხორციელება ადგილობრივ დონეზე აქტუალურია და რეალურად საჭირო საქართველოსა და კონკრეტულ განხილულ რეგიონში“; რომ „პროექტს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ღვინის ადგილობრივ წარმოებაზე, რადგან ადგილობრივი ღვინისგან საფუარის გამოყოფა და იდენტიფიცირება ხელს შეუწყობს ახალი წარმოების სისტემების განვითარებას“ და რომ „პროექტს აქვს გარკვეული პოტენციალი, რათა ხელი შეუწყოს ღვინის წარმოების სრულყოფილებას საქართველოში“.

გასულ წელს რუსთაველის ფონდის დაფინანსება მოიპოვა მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროექტმაც ჩემი ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე ამ ახალი საფუარებისაგან წარმოებული ღვინოების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლას ეხება.

ვარ 24 მაგისტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, 45 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და რამდენიმე წიგნის რედაქტორი. ეს შრომები შეეხება იშვიათი ავტოქტონური ვაზის ჯიშების საღვინე პოტენციალისა და მათში ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებების შემცველობის კვლევას.

ყოველწლიურად ვმონაწილეობ საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. საერთაშორისო პროექტის “Erasmus +” ფარგლებში, უცხოეთში მაქვს ლექციები წაკითხული.

მადლიერება

მადლობა ყველას, ვინც მხარდაჭერას მიცხადებს – თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „შუმის“ ხელმძღვანელობას, მეგობრებს, ახლობლებს, ოჯახს, ჩემს სულიერ მოძღვარს – მამა მიქაელ ჭაბაშვილს, რომელთა გულწრფელი თანადგომა მაძლიერებს და მოტივაციას მატებს ჩემს საყვარელ საქმიანობას.

ნელი ცქიტიშვილი

განათლება

ინოვაციებისა და მეწარმეობის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ინოვაციებისა და მეწარმეობის შესახებ" დასკვნითი შეხვედრა გაიმართა.

კონფერენციის მონაწილეებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, შალვა ჭკადუა მიესალმა და სამეცნიერო წრეებს თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, თენგიზ სიმაშვილმა, დამსწრეებს მოხსენება „თელავის ისტორია – კულტურული და ტურისტული რესურსი" წარუდგინა.

კონფერენციამ ორ სექციად იმუშავა. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის სემინარი თემაზე „უნივერსიტეტის სამეწარმეო კონცეფციის გადახედვა მეცნიერების პერსპექტივიდან" თურქეთის მანისა ჯელალ ბაიარის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბულენტ აკაიამ ჩაატარა, ხოლო „ინოვაციების ინკუბაციის მასტერ-კლასი" სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, მარიკა კლდიაშვილმა გამართა.

კონფერენციის მონაწილეებმა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან სიმბოლური საჩუქრები მიიღეს.

დასკვნითი დღე, თელავის ისტორიულ მუზეუმში ექსკურსიით დამთავრდა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინოვაციებისა და მეწარმეობის შესახებ" პროექტი დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ,ღონისძიების მასპინძელი, პროექტის წამყვანი და თანადამფინანსებელი ორგანიზაცია კი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტია.

პროექტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, თანამონაწილე ორგანიზაციების სახით ჩართულები არიან ალკალას უნივერსიტეტის მეწარმეობის სკოლა (ესპანეთი) და დეგენდორფის ტექნოლოგიების ინსტიტუტი (გერმანია); პროექტის პარტნიორები არიან, სააგენტო „აწარმოე საქართველოში", მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია (SMEDA), გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი – UN Global Compact Network Georgia, ფინანსური განათლების პორტალი – „ფინედუ".

„გზა წარმატებისკენ"

თელავის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან ანდრიაშვილი, თელავის მეოთხე საჯარო სკოლის მე-9 კლასელ მოსწავლეებს შეხვდა.

შეხვედრა სასკოლო პროექტის „გზა წარმატებისკენ" ფარგლებში გაიმართა, რომლის მიზანიც ახალგაზრდებისთვის პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობაა.

მოსწავლეებმა მერისაგან მოისმინეს მუნიციპალიტეტის და უშუალოდ მერის, როგორც ხელმძღვანელი პირის, მუშაობის სპეციფიკა; დასვეს მათთვის საინტერესო კითხვები; დისკუსიის ფარგლებში განიხილეს თელავში დაგეგმილი, ახალგაზრდა მაცხოვრებელთათვის გათვილილი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა: სარეკრეაციო ზონები, ჩოგბურთის კორტები, სპორტული მოედნები და სხვა ატრაქციები.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით, ლევან ანდრიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა საინტერესო დისკუსიისთვის, ხოლო პროექტის ორგანიზატორებს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვისათვის.

თელავის უნივერსიტეტის წარმომადგენლები — სერბეთში

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის, DUGEOR-ის ფარგლებში, სერბეთში, ნოვი სადში იმყოფებოდნენ.

სასწავლო ვიზიტის მონაწილეებს ნოვი სადის უნივერსიტეტმა უმასპინძლა, სადაც პროექტის მმართველი კომიტეტის სხდომა ჩატარდა. შეხვედრაზე, როგორც უკვე განხორციელებული, ისე სამომავლო აქტივობები განიხილეს.

სტუმრებს უმასპინძლა ნოვი სადის უნივერსიტეტის ბიზნეს აკადემიამაც.

პროექტის პარტნიორებს საშუალება ჰქონდათ, სერბეთში დუალური განათლების დანერგვასთან დაკავშირებული გამოცდილებისა და სერბეთის უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ.

სასწავლო ვიზიტის პარტნიორი, ხუთი ქართული უნივერსიტეტი, ოთხი კომპანია, განათლების სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრია.

პარტნიორების გარდა, სასწავლო ვიზიტში გერმანიიდან და ავსტრიიდან, FH Joanneum-ისა და DHBW-ის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

იურიდიულ კლინიკაში ინოვაციური პროგრამა დაინერგება

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სამართლის მიმართულების იურიდიული კლინიკა, მეწარმეობის დამწყებ ეტაპზე მყოფი მოქალაქეებისათვის უფასო საინფორმაციო მომსახურებას განახორციელებს.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის პროექტის ფარგლებში, კლინიკა დაინტერესებულ პირებს ბიზნეს გეგმისა და სამართლებრივი პაკეტის მომზადებაში დაეხმარება.

იურიდიული კლინიკის ფარგლებში, ასევე განხორციელდება მოსახლეობის უფასო იურიდიული კონსულტაცია, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში წარმოდგენა; სტუდენტები სამართლებრივ საკითხებზე ინფორმაციულ შეხვედრებს, მოქალაქეებთან და რეგიონის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ჩაატარებენ.

უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, პროექტის განხორციელებაზე ცნობილი იურისტები და ეკონომისტები იმუშავებენ..

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში პირველია, რომლის „იურიდიული კლინიკის პროგრამის" ფარგლებში დაინერგება ინოვაციური მიმართულება, რაც ერთის მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის უფასო დახმარების გაწევას, ხოლო მეორეს მხრივ, სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების გზით, მათ რეგიონში დასაქმებას შეუწყობს ხელს.

მხატვრობა

თელავის სამხატვრო სკოლამ 2024 სერგო ასლანიშვილის წლად გამოაცხადა



წელს, თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის დამაარსებელს სერგო ასლანიშვილს, 100 წლის იუბილე შეუსრულდა. ბევრი ადამიანისთვის დღესაც უცნობია მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ ისეთი დეტალები, რაც ყველამ და განსაკუთრებით, თელაველებმა უნდა იცოდნენ.

სერგო გიორგის ძე ასლანიშვილი დაიბადა 1924 წლის 19 თებერვალს. ხატვის ნიჭი და ზოგადად ხელოვნებისადმი დიდი სიყვარული სკოლის მერხიდან დაიწყო. მშობლებმა პედაგოგების რჩევით მიიღეს გადაწყვეტილება და შეიყვანეს სამხატვრო ტექნიკუმში, რომელსაც დროთა განმავლობაში ნ. ნიკოლაძის სახელი მიენიჭა.

1944 წელს დაამთავრა სამხატვრო ტექნიკუმი და წარმატებით ჩაირიცხა ფერწერის ფაკულტეტზე სამხატვრო აკადემიაში. მას ფერების ოსტატს უწოდებდნენ.

სერგო ასლანიშვილის პედაგოგები იყვნენ მ. თოიძე, თ. მამალაძე. 1951 წელს მისი სადიპლომო ნამუშევარია „რთველი კახეთში“. აკადემიის დამთავრების შემდეგ სერგოს, პედაგოგმა ა. ციმაკურიძემ შესთავაზა დარჩენილიყო თბილისში. მის საკუთარ შვილებს არცერთს არ აინტერესებდა ხატვა და სთხოვა ერთად ემუშავათ, – „შენ მარტო ფერები შემიზავე, ჩემს ერთ სახელოსნოს შენ დაგიმტკიცებო“.

სერგო ასლანიშვილმა მშობლიურ ქალაქში დაბრუნება გადაწყვიტა და თელავს დაუბრუნდა. კულტურის სახლში გაიხსნა სახვითი ხელოვნების წრე, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა. მის ბაზაზე 1962 წელს მედეა მეზვრიშვილის დახმარებით დაფუძნდა სამხატვრო სკოლა. შემდგომ წლებში მიენიჭა ელენე ახვლედიანის სახელი, რომლის დირექტორი იყო 2006 წლამდე, ხოლო 2008 წლამდე იმუშავა პედაგოგად.

სერგო ასლანიშვილმა მიაღწია იმდენს, რომ შენობა გამოეყოთ სამხატვრო სკოლისთვის, „ბევრი ბრძოლა დამჭირდა შენობის შესანარჩუნებლად“, ამბობდა ბატონი სერგო.

მისი პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო 1952 წელს. 1983 წლიდან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. მისი ცნობილი ნამუშევრებია: „ა. ჭავჭავაძის“ (1953), „ე. ჭავჭავაძის“ (1954) პორტრეტები „გრიბოედოვის სტუმრობა ჭავჭავაძის სალონში“ (1995). ხილის ნატურმორტები: „ბატონის წყალი“, ავტოპორტრეტი, „ძველი თბილისი“ და სხვა. სერგო ასლანიშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოს მხატვართა ფონდში. წინანდლის და თელავის მუზეუმებში.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისთვის 1984 წელს მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. იყო იყალთოს აკადემიის საპატიო მოქალაქე. 2001 წელს მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში მოწყობილ გამოფენაზე, სადაც მისი ყველა ნამუშევარი გაიყიდა. თელავში სტუმრად ჩამოსულმა ფრანგმა სტუმრებმა აღნიშნეს, რომ მისი საზამთროების ნატურმორტი ჟაკ შირაკის კაბინეტს ამშვენებს. იშვიათია ოჯახი თელავში, რომ სერგო ასლანიშვილის ნამუშევრები არ ჰქონდეს შემონახული.

სერგო ასლანიშვილის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი მონაცემები შეტანილია წიგნში „ვინ ვინაა“. თანამედროვე ქართველ მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში. 2003 წელს დაჯილდოვებულია ღირსების მედლით. მიღებული აქვს სიგელები, დიპლომები, მედლები გაწეული შრომისათვის. მის ხელში აღიზარდა უამრავი თაობა.

„სერგო ასლანიშვილი იყო საუკეთესო ფერმწერი, საუკეთესო პედაგოგი, კარგი ადამიანი. მან უამრავ ახალგაზრდას შეაყვარა ხელოვნება და დააყენა შემოქმედებით გზაზე.

სერგო ასლანიშვილმა საკუთარ თავს სიცოცხლეშივე დაუდგა ძეგლი სამხატვრო სკოლის დაარსებით. მე ვარ ამაყი, რომ ვიყავი სერგო ასლანიშვილის მოსწავლე და ჩემი თითოეული ნაბიჯის დროს ვითვალისწინებ მის წინაშე პასუხისმგებლობას. ჩვენ, ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის პედაგოგები, ყოველთვის ვცდილობთ ვიაროთ მის ნაკვალევზე.

2024 წელი სამხატვრო სკოლამ გამოაცხადა სერგო ასლანიშვილის წლად და ნებისმიერი ღონისძიება მიეძღვნება მის ნათელ ხსოვნას“, – ამბობს მაია ციხისთავი, სამხატვრო სკოლის პედაგოგი.

2009 წლის ნოემბერში იგი აირჩიეს თელავის საპატიო მოქალაქედ, იმავე წელს, მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ გული ატკინა არა მარტო მეგობრებს და ახლობლებს, არამედ მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს, მოსწავლეებს და საზოგადოებას.

ერთ ფურცელზე დატეული სამყარო

ყოველდღიურობა, ბუნება, ოჯახი, სიყვარული – ეს ის თემებია, რომლის ირგვლივაც იქმნება თელავში მცხოვრები მხატვრის, ზურა ტოტიკაშვილის ნახატები. როგორც მხატვარმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ხატავს ნებისმიერი საღებავით, თუმცა განსაკუთრებით მოსწონს ხატვა კალმით, რადგან ეს ტექნიკა დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან, რაც შემოქმედს ეხმარება უკეთესად წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები.

„ჩემი ნახატები მთლიანად ცხოვრებას მოიცავს. მათში გაერთიანებულია ყველა განცდა და გრძნობა. ერთ პატარა ფურცელზე დატეულია წარსული, აწმყო, მომავალი და სრულიად სამყარო. ჩემთვის მხატვრობა სულის მდგომარეობაა. ეს ნიჭი, ჩემში აღმოვაჩინე ჯერ კიდევ ბაღის ასაკში. ჩემი ნახატების უმეტესობა იქმება კალმით, რომელსაც ძირითადად ვიყენებ მგზავრობისას, რადგან კალამი საკმაოდ მოსახერხებელია. კალმით ძალიან ხშირად ვხატავდი, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ეს სტილი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სოციალურ ქსელ ფაცებოოკ ჯგუფებში, „ლაივში“ დავიწყე ხატვა კალმით. ასეთი ტექნიკა მოითხოვს წარმოუდგენელ ძალისხმევას, რადგან კალმის პატარა თავით უნდა დაიფაროს მთელი ფურცელი, ხოლო შეცდომის შემთხვევაში ვერაფერს წაშლი, მთელი შრომა წყალში იყრება,“ – გვითხრა ზურა ტოტიკაშვილმა.

ხელოვანის თქმით, მხატვრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, რადგან ეს ზრდის ცნობადობას და ნამუშევრების პოპულარაზიაციას საზოგადოებაში.

„– ჩემი პირველი გამოფენა სკოლის პერიოდში იყო,. შემდეგ – „სეუ-ს“ შენობაში, დაახლოებით სამი წლის წინ. ვმონაწილეობდი „მარგარეტ ტეტჩერის სიტყვის თავისუფლების“ ლოგოს კონკურსში. უკვე 2021 წელს თელავის ისტორიული მუზეუმის საგამოფენო სივრცეში მქონდა პერსონალური გამოფენა, ჩემი ნახატი სახელად „მწყემსი,“ მუზეუმს გადავეცი საჩუქრად. პერსონალური გამოფენა გაიმართა ასევე, თელავის მუნიციპალიტეტის ზაირა არსენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრში. მომავალში ვაპირებ, შეძლებისდაგვარად, ჩავერთო ყველა გამოფენაში,“-აღნიშნავს ხელოვანი.

ზურა ტოტიკაშვილი ამბობს, რომ მას შემკვეთები ენდობიან და მათ მოლოდინს ამართლებს: „ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ადამიანები იმდენად მენდობიან, ზოგიერთი მათგანი, ინდივიდუალური შეკვეთის დროს, მხოლოდ თემატიკაზე მესაუბრება და ბოლომდე მანდობს შედეგს. ეს ჩემთვის ძალიან დიდი სტიმულის მომცემია. მაბედნიერებს ის მომენტი, როდესაც ადამიანებს ჩემი შემოქმედებით ვჩუქნი დადებით ემოციებს“.

ზურა ტოტიკაშვილის თქმით, თუ მხატვარს შემოსავლის წყარო ექნება, საკუთარი დროის დიდ ნაწილს მხოლოდ ხატვას დაუთმობდა. ამიტომ არის მხატვრისთვის მნიშვნელოვანი ნახატების რეალიზება, რომ გაყიდული ნახატით კვლავ საღებავები შეიძინოს, რათა შექმნას ახალი ნამუშევრები.

ზურა ტოტიკაშვილის ნახატების პერსონალურ გამოფენას ამჯერად თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე არსებული ფირმა „პოლიგლოტი“ მასპინძლობს, სადაც ნამუშევრები გამოფენილი იქნება 1 წლით და დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება, სასურველი ნახატი შეიძინოს.

ახალგაზრდა მხატვრის პერსონალური გამოფენა

თელავის ისტორიული მუზეუმი მასპინძლობს ახალგაზრდა მხატვრის ლუკა კიკნაძის ნახატების პერსონალურ გამოფენა-გაყიდვას. „თბილისური ღამე“, – ასე ჰქვია ფერწერული ნამუშევრების სერიას, რომელიც მუზეუმის დროებით საგამოფენო სივრცეში 10 თებერვალს გაიხსნა და თებერვლის ბოლომდე გაგრძელდა.

თელავის სამხატვრო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მაია ციხისთავის შეფასებით, ლუკა უკვე არის შემდგარი მხატვარი: „ლუკას, როგორც ჩემ ახლობელს და მხატვარს დიდი გულშემატკივრობით ვადევნებ თვალს. მომწონს მისი შემოქმედება, თავისუფლება. ლუკა არის საოცრად მიზანდასახული, ნიჭიერი და შრომისმოყვარე, მხატვრობა მისთვის ორგანული ნაწილია, თავის შემოქმედებაში ის საოცრად თავისუფალი და თვითმყოფადია. მას ნაპოვნი აქვს საკუთარი სტილი და მიმდინარეობა, რაც ხელოვანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. აგრეთვე საოცრად ქართული და მშობლიურია მისი ნახატები. ის უკვე შემდგარი მხატვარია და ვუსურვებ საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებას.“

ახალგაზრდა მხატვრის, ლუკა კიკნაძის შემოქმედებას დამთვალიერებელები აფასებენ, როგორც საინტერესოს, რომელსაც აქვს საკუთარი ინდივიდუალური ხელწერა.

„ლუკა კიკნაძის, ნიჭიერი მხატვრის ფერწერული ნამუშევრები გამოირჩევა მკვეთრი ინდივიდუალიზმით. მისი სერია „თბილისური ღამე“ ძალიან საინტერესოა კომპოზიციური გადაწყვეტებით, სივრცული ეფექტებით. ვუსურვებ დიდ შემოქმედებით წინსვლას და განვითარებას,“ – დამთვალიერებელი ლანა ყურაშვილი.

თელავის ისტორიული მუზეუმის დროებითი საგამოფენო სივრცე არის ადგილი, სადაც ხელოვნების მოყვარულ ადამიანებს ხშირად აქვთ შესაძლებლობა შეხვდნენ მათთვის საინტერესო ხელოვანებს და გაეცნონ მათ შემოქმედებას.

გვერდი მოამზადა ნინო პაატაშვილმა

მუსიკა

მრავალხმიანი სიმღერის ოსტატები

სალოტბარო სკოლის ახალმოსახლეობა

სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თელავის სალოტბარო სკოლას ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში კეთილმოწყობილი სამუშაო სივრცე დაეთმო.

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა თელავის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ პაატა გულიაშვილთან, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორ გიორგი დონაძესა და დირექტორის მოადგილე გიორგი გაბუნიასთან ერთად ახალი სამუშაო გარემო მოინახულა.

მინისტრი პედაგოგებსა და მოსწავლეებს შეხვდა, ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და სკოლის საჭიროებებზე. სტუმრებმა მოისმინეს ახალგაზრდების მიერ შესრულებული მრავალხმიანი სიმღერების საუკეთესო ნიმუშები, ახალმოსახლეობა მიულოცეს და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა უსურვეს.

შეხვედრის დასასრულს, თეა წულუკიანმა მადლობა გადაუხადა თელავის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მის თანამშრომლებს სალოტბარო სკოლისთვის სამუშაო ადგილის გამოყოფის გამო და, აგრეთვე, მადლობა გადაუხადა

ლოტბარებს გოჩა და ბექა ბიძინაშვილებს, თელავის სალოტბარო სკოლის წარმომადგენლებს, ქართული მრავალხმიანობის პოპულარიზაციისა და განვითარებაში გაწეული შრომისთვის.

რამდენიმე დღის წინ, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში, დედას ლევანას სახელობის ფოლკლორულ ანსამბლ „შილდას“ კახური სიმღერის კონცერტი და ანსამბლის მე-2 აუდიო ალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

კონცერტი მიეძღვნა გამოჩენილი კახელი მომღერლისა და ლოტბარის – ანდრო სიმაშვილის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს.

შესრულდა კახური სიმღერის შილდური, თელავური და ართანული ვარიანტები.

მეცენატმა ვანო ჩხარტიშვილმა, ანსამბლ შილდას გადასცა ფონდ ,,ქართული გალობის" სპეციალური ჯილდო ნომინაციაში – ახალი თაობა.

კახეთში გვაქვს ორი სალოტბარო სკოლა ყვარელსა და თელავში. თელავის სალოტბარო სკოლას ბექა და გოჩა ბიძინაშვილები ხელმძღვანელობენ. ყვარელში კი ბექა ასწავლის ქართულ საეკლესიო გალობას. ასევე, თელავში გვაქვს ტრადიციული მუსიკის სკოლა, რომელიც ძმებმა 2019 წელს დააფუძნეს. სკოლების პარალელურად, ისინი თელავში ხელმძღვანელობენ მგალობელ-მომღერალთა ანსამბლ „პატარა კახს“ და ანსამბლ „შილდას.“ ბექა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ახმეტის ფოლკლორულ ანსამბლ „ბახტრიონს“. ძმები მთელ კახეთში ატარებენ ექსპედიციებს და აგროვებენ ფოლკლორული მემკვიდრეობის მცირე დეტალებსაც კი, რაც ჩვეულებრივი ადამიანისთვის რთული შესამჩნევია, მაგრამ რომლის დაკარგვაც ნიშნავს ეროვნულთან, ტრადიციულთან, და, შესაძლოა ითქვას, კულტურული მემკვიდრეობის მეხსიერებასთან გამომშვიდობებას.

ბექა და გოჩა ბიძინაშვილები გვიყვებიან ამბავს იმ შემოქმედებით გზაზე, რაც მათ გამოიარეს იქამდე, ვიდრე მომავალ თაობებს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებდნენ და კახური ფოლკლორის უნიკალურობას გააცნობდნენ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს.

„ – პირველი შეხება სიმღერასთან გვქონდა 1999 წელს, როდესაც თელავში გადაწყვიტეს, რომ შექმნილიყო ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი. ლევან აბაშიძე, ცნობილი ლოტბარი და ანსამბლის ხელმძღვანელი, არჩევდა სკოლის მოსწავლეებს (მე მაშინ მეცხრე სკოლაში ვსწავლობდი), რათა შეექმნა გუნდი. ეს იდეა დედამ აიტაცა და მეც და ჩემი ძმაც მიგვიყვანა სასწავლებლად, რომ მივედით მოგვისმინეს, შეგვარჩიეს და დავიწყეთ სწავლება ლევან აბაშიძესთან (მანამდე მე ვმღეროდი ჯუბო სახეიშვილთან).

იგივე კონკურსი ჩატარდა თელავის პირველ სკოლაშიც. ბავშვების ნაწილი ვმეცადინეობდით გერმანულ სკოლაში, ნაწილი კი პირველში. შემდეგ ეს ორი მუსიკალური ჯგუფი ლევან აბაშიძემ გაგვაერთიანა და მეცადინეობა გავაგრძელეთ მუსიკალური სასწავლებლის შენობაში. ამ ორი გუნდისგან საბოლოოდ, ჩამოყალიბდა ერთ ანსამბლი, რომელსაც „პატარა კახი“ დაარქვეს.

ამის პარალელურად, დავიწყე „ალავერდის გუნდში“ გალობა. 2002 წელს ჩვენი მასწავლებელი ანდრო სიმაშვილი, საყოველთაოდ ცნობილი ლოტბარი და ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე, ხალხური (კახური) სიმღერის მასწავლებლად მიიწვიეს საფრანგეთში, ამ დროს იგი 79 წლის იყო. იმ პერიოდისთვის უკვე ცოცხლები აღარ ჰყავდა ანსამბლ "ართანის" მომღერლები. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ანდრო პაპა (როგორც მას სიყვარულით უწოდებდა ყველა) მოიწვიეს ალავერდის მგალობელთა გუნდის სიმღერის მასწავლებლად. ამ პერიოდში ჩავირიცხე მუსიკალურ სასწავლებელში.

ლოტბარ ლევან აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ, ბავშვთა ანსამბლი დაიშალა, აღარავინ იყო ისეთი, ვინც შეძლებდა ტრადიციის გაგრძელებას, მე და გოჩამ დავიწყეთ ბავშვების მომზადება დამოუკიდებლად. 2012 წელს გავმართეთ პირველი კონცერტი და აღვადგინეთ, შეიძლება ითქვას, თავიდან ჩამოვაყალიბეთ ანსამბლი „პატარა კახი.“ - იგივე სახელწოდებით, როგორც თავის დროზე ლევან აბაშიძის ხელმძღვანელობის დროს ერქვა.

შემდეგ იყო ფესტივალები, კონცერტები... მუდმივად ვიყავით ჩართული ღონისძიებებში როგორც თელავის მუნიციპალიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ, თუმცა, იმ დროს, ჩვენ მუნიციპალიტეტის გუნდი არ ვყოფილვართ, ვიყავით კერძო გუნდი.

თელავში დავაფუძნეთ ჩვენი ხმის ჩამწერი სტუდია და დისკიც ჩავწერეთ. ეს დისკი ბატონ ანზორ ერქომაიშვილს ვაჩუქეთ, ძალიან მოეწონა. რაღაც პერიოდის შემდეგ, ბატონი ანზორი, ამჟამინდელ ფოლკლორის ცენტრის დირექტორ, გიორგი დონაძესთან ერთად ჩამოვიდა თელავში და 2017 წელს გავხსენით სალოტბარო სკოლა. ამის პარალელურად, მე და გოჩას ჩვენი სკოლა უკვე გვქონდა დაფუძნებული. დღესდღეობით უკვე არის „წმინდა ძმები კარბელაშვილების სახელობის თელავის ტრადიციული მუსიკის სკოლა,“ სადაც ბავშვები მოდიან და ნულიდან სწავლობენ ყველაფერს. ეს არის ჩვენი კერძო სკოლა.

რაც შეეხება სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრის თელავის სალოტბარო სკოლას, ეს არის ადგილი, სადაც 15 წლიდან ტრადიციული მუსიკის სკოლის წარმატებული მოსწავლეები, რომლებსაც სურთ სწავლა გააგრძელონ გალობის უმაღლეს სასწავლებელში, გაივლიან გარკვეულ პროგრამას და აბარებენ პირდაპირ უმაღლესში. ეს სალოტბარო სკოლები ეკუთვნის კულტურის სამინისტროს და წარმოადგენს აბიტურიენტების მოსამზადებელ სივრცეს. ისინი აქედან პირდაპირ მიდიან გიორგი მთაწმინდელის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც მე და გოჩამ დავამთავრეთ. ამჟამად იქ ვმუშაობთ, ვაგზავნით მოსწავლეებს. დაახლოებით 10 ახალგაზრდა უკვე გავაგზავნეთ, რომელთაგან ზოგმა დაამთავრა, ზოგი ლოტბარია უკვე და ჰყავთ თავიანთი გუნდები.

„პატარა კახი“ კი დარჩა ახალგაზრდა თაობის სამჭედლოდ, სადაც მუდმივად მიდის თაობათა ცვლა, ეს არის ადგილი, სადაც იზრდებიან თაობები. 2017 წლიდან ჩვენ გავხდით მუნიციპალიტეტის ანსამბლი. მონაწილეობას ვიღებთ ყველა ღონისძიებაში და წარმოვადგენთ მუნიციპალიტეტს.

ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივით და მეცენატის ვანო ჩხარტიშვილის მხარდაჭერით, კახეთში ჩამოყალიბდა ანსამბლი „შილდა,“ რომელიც არსებობს ღვინის კომპანია „შილდასთან,“ მთელი კახეთის მასშტაბით შევარჩიეთ საუკეთესო ხმები. ანსამბლს აქვს „ქართული ღვინის და პოლიფონიიის კონცეფცია.“ ეს კი გულისხმობს იმას, რომ სადაც ჩვენი ღვინო გადის სარეკლამოდ თუ სადეგუსტაციოდ, ჩვენც იქ ვართ და წარმოვაჩენთ ქართულ კულტურას. უკვე ვიყავით საკმაოდ ბევრ ქვეყანაში: შვეიცარია, იტალია, ჩინეთი.. და ა.შ.

100 წელია, რაც ჩვენმა წინაპრებმა, კერძოდ თელავში, დაიწყეს იმაზე ფიქრი და მუშაობა, არ დაკარგულიყო ხალხური სასიმღერო ფოლკლორის საუკეთესო ტრადიცია და შექმნეს თელავის პირველი ეთნოგრაფიული ანსამბლი. ჩვენმა პედაგოგებმა რაც ჩვენში ჩადეს, ეს გავაგრძელეთ, მათი ხსოვნისა და ხალხური სიმღერის უკვდავსაყოფად და ახლა ჩვენც ვცდილობთ ეს გადავცეთ ჩვენს მოსწავლეებს.

ამის გარდა, გვაქვს საოჯახო ანსამბლი, სადაც მღერიან ჩვენი შვილები, მეუღლეები.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ყოველ წელს სულ უფრო კარგი თაობა მოდის. ტრადიციული მუსიკის სკოლაში მე ჩემი ბავშვთა გუნდი მყავს, გოჩას – თავისი. ზოგჯერ ვაერთიანებთ ჩვენ გუნდებს და ერთად გამოვდივართ კონცერტებზე.

ჩვენი მასწავლებლის, ანდრო სიმაშვილის სახელის უკვდავსაყოფად, ართანაში დავაფუძნეთ „კახური სიმღერების ფესტივალი,“ ხოლო თელავში – ბავშვთა ფოლკლორის ფესტივალი „მშობლიური ხმები“, – გვიყვება ბექა ბიძინაშვილი.

ბექა და გოჩა ბიძინაშვილებმა დაამთავრეს გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასწავლებლის ბაკალავრიატის საფეხური, შემდეგ სწავლობდნენ კონსერვატორიაში მაგისტრატურის ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო მისი დასრულების შემდეგ სწავლა კვლავ კონსერვატორიაში გააგრძელეს, ახლა უკვე დოქტორანტურის საფეხურზე. ლოტბარი ძმები ყოველდღე თავდაუზოგავად შრომობენ, საკუთარ ნიჭსა და ცოდნას გადასცემენ მომავალ თაობას. ასევე, მათი დამსახურებაა ისიც, რომ კახური სიმღერა დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. რომ იტყვიან, ისინი მართლაც დიდ მამულიშვილურ საქმეს ემსახურებიან.

ნინო პაატაშვილი

სტუმრები თელავის სამუსიკო სასწავლებელში

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი განაგრძობს სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედ სამუსიკო სასწავლებლებში ვიზიტს. იგი ამჯერად თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორობის კანდიდატ გიორგი ვაჩნაძესა და მის მეუღლესთან, პიანისტ კიომი სუგიმურასთან, ერთად ესტუმრა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით,

მინისტრმა შეხვედრისას სასწავლებლის დირექტორ ლელა ონიანსა და პედაგოგებს მადლობა გადაუხადა თავდადებული შრომისთვის, მაღალი ხარისხის სასწავლო პროცესის წარმართვისა და სამუსიკო განათლების პრიორიტეტად ქცევისთვის, დღემდე გაწეული საქმიანობისთვის. მოსწავლეებს კი ნაყოფიერი გაკვეთილები და წარმატებები უსურვა შემოქმედებით საქმიანობაში.

შეხვედრისას თეა წულუკიანმა ისაუბრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და მის ახალ ხელმძღვანელთან სამუსიკო სასწავლებლების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობასა და უწყვეტი სამუსიკო განათლების აღდგენის შესაძლებლობებზე.

მნიშვნელოვანია, რომ 2021 წელს, კულტურის სამინისტროს კონკურსის – „სამუსიკო სასწავლებლებში ინსტრუმენტების განახლება“ – ფარგლებში სასწავლებელი 46090 ლარით დაფინანსდა, შეიძინეს: ერთი აკუსტიკური როიალი „Ritmuller GP160R1“, ერთი ციფრული ბლუთუზიანი პიანინო „Roland FP-30X“, ერთი აკუსტიკური პიანინო „Ritmuller UP110R2“, ოთხი ვიოლინო „GEWA VIOLIN VL1“.

ასევე, აღსანიშნავია, რომ კულტურის სამინისტროს პროექტის – „ახალგაზრდული ბანაკები“ – ფარგლებში შაორისა და ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკებში თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის ხუთი მოსწავლე იმყოფებოდა.

თელავის სამუსიკო სასწავლებელი დიდი ქართველი კომპოზიტორის, ლოტბარის, ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკის ფუძემდებლის ნიკო სულხანიშვილის სახელს ატარებს. 1932 წლის 12 ოქტომბერს თელავში გაიხსნა მუსიკალური ტექნიკუმი, რომელიც თავდაპირველად ერეკლე მეფისეულ სასახლეში განათავსეს. სხვადასხვა დროს სასწავლებელმა რამდენჯერმე შეიცვალა სტატუსი, ხოლო 2009 წლის 8 სექტემბერს სამუსიკო კოლეჯის ბაზაზე დაფუძნდა სსიპ თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი 11-წლიანი სწავლების უწყვეტი კურსით. ამჟამად სასწავლებელში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო, ვოკალური, საგუნდო-სადირიჟორო, თეორიულ-საკომპოზიციო განყოფილებები.

საგულისხმოა, რომ თელავის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის – ბელგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, თურქეთში, კვიპროსზე, მალტასა და კანარის კუნძულებზე, სადაც არაერთი უმაღლესი ჯილდო აქვთ მოპოვებული. ასევე, სამუსიკო სასწავლებლის აღზრდილები წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სასწავლებელს აქვს მრავალმხრივი და საინტერესო ურთიერთობები მსოფლიოს გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებლებთან, რომელთა კონცერტები და მასტერკლასები აქ ხშირად იმართება და სახელოვნებო ცხოვრებას გამორჩეულ ხიბლსა და ინტერესს სძენს; განსაკუთრებით აღსანიშნავია კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში, რომლის რეპეტიციებისა და მასტერკლასების ტრადიციული მასპინძელი თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელია.

სპორტი

„იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!“

წიგნის საჯაროდ კითხვის დღე მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა, რომელიც 100 სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 30 მილიონ ადამიანს აერთიანებს საერთო სლოგანის გარშემო: „იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!“

გამონაკლისი არც საქართველოა. ეს დღე, ჩვენს ქვეყანაში, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით, უკვე მეშვიდე წელია თებერვალში აღინიშნება.

წელს თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაც შეუერთდა საერთაშორისო ინიციატივას და ჩვენი წვლილი შევიტანეთ კითხვის პოპულარიზაციაში.

უნდა აღინიშნოს სკოლების აქტიური ჩართულობა ამ დღესთან დაკავშირებით. სსიპ თელავის №4 საჯარო სკოლიდან გვესტუმრნენ მე-4 კლასის (მასწავლებლები: ნინო ხაჩიძე და ნინო ჭანკოტაძე) მოსწავლეები. მათ ხმამაღლა წაგვიკითხეს ეზოპესა და სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები. მოსწავლეების გარდა ჩვენს ბიბლიოთეკაში სტუმრად იმყოფებოდნენ „რაპუნცელი“, „ელზა და ანა“, „წითელქუდა“, „ტოპო-ტიპი“, „ტოპო“, „პეპი“ და სხვადასხვა წიგნის გმირები. ბავშვები წარმოდგენილები იყვნენ საყვარელი მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის ფორმებში და ასე თვალსაჩინოდ წაგვიკითხეს სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ამონარიდები.

აგრეთვე, მთავარ ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ სსიპ თელავის №3 საჯარო სკოლის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები (მასწავლებლები: მარიამ მამალაშვილი და ნინო აბესაძე). ბავშვებმა წაიკითხეს ყველასათვის ცნობილი და პოპულარული მხატვრული ნაწარმოებებიდან რჩეული ადგილები, შემდეგ კი ერთად განიხილეს და იმსჯელეს თემის გარშემო. თელავის მუნიციპალიტეტის სასოფლო ბიბლიოთეკები – ვარდისუბანი, რუისპირი, კონდოლი, იყალთო, კისისხევი, ბუშეტი, წინანდალი, ქვ. ხოდაშენი – აქტიურად იყვნენ ჩართულები საჯაროდ კითხვის დღისადმი მიძღვნილ აქტივობებში.

***

თელავის მუნიციპალოტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება მაქსიმალურად ორიენტირებული ვართ ახალგაზრდა თაობის განათლება-განვითარებაზე. ჩვენი დიდი სურვილია, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მკითხველი გვყავდეს. ამისათვის ვქმნით ისეთ გარემოს, სადაც ბავშვები თავს მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნობენ. დღის ნებისმიერ მონაკვეთში მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მეგობრებთან ერთად შეიკრიბონ, მოამზადონ პრეზენტაციები,იმუშაონ სხვადასხვა პროექტებზე და, რაც მთავარია, ხელი მოუწვდებოდეთ ახალ, თანამედროვე მრავალფეროვან ლიტერატურაზე.

მათი გააქტიურებისათვის ახალგაზრდა მკითხველებთან ერთად შევქმენით „მკითხველთა კლუბი“, რომელშიც გაწევრიანებულები არიან როგორც ადგილობრივი, ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის ბავშვები.მათთან რეგულარულად ვატარებთ შეხვედრებს და განვიხილავთ სხვადასხვა წიგნებსა და მნიშვნელოვან თემებს. კლუბის წევრებთან ერთად გვქონდა საერთო კონკურსი სახელწოდებით „წიგნის მეგობარი“ გამარჯვებული იყო ის, ვისაც ყველაზე მეტი წიგნი ჰქონდა გარკვეულ მონაკვეთში წაკითხული.

„მკითხველთა კლუბის“ მიერ ჩატარებული ბოლო შეხვედრა ეძღვნებოდა თემას – „სიყვარული მხატვრულ ლიტერატურაში“. კლუბის წევრებმა წაიკითხეს რჩეული ლიტერატურიდან (ერიხ მარია რემარკი – „ნასესხები სიცოცხლე”, ემილ ბრონტე – „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, თინათინ ბერიძე – „მოპარული სიყვარული“.

ჰარუკი მურაკამი – „კაფკა პლაჟზე“) მათთვის საყვარელი ამონარიდები და იმსჯელეს, თუ რა არის სიყვარული, ვისთან ასოცირდება მათთვის ეს გრძნობა, როგორ გადმოგვცემს სიყვარულს ესა თუ ის მწერალი და რამდენად მნიშვნელოვანია ზოგადად სიყვარული ადამიანის ცხოვრებაში.

„მკითხველთა კლუბი“ მომავალშიც საინტერესო ღონისძიებებს გეგმავს.

ანა იორდანიშვილი,
საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

მარიამ ფროდიაშვილის ტრიუმფი

ჩვენმა თანაქალაქელმა, მარიამ ფროდიაშვილმა ზედიზედ რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება ჩაიწერა თავის სპორტულ ბიოგრაფიაში. მან მსოფლიოს თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო უნგრეთიდან ევროპის ახალგაზრდული რეკორდით, ევროპის ჩემპიონის ტიტულით და ოქროს მედლებით დაბრუნდება საქართველოში.

მივყვეთ გამარჯვებების ქრონიკას:

ესპანეთში, გრანადაში, მსოფლიოს თასის გათამაშებაში ახალგაზრდებს შორის პნევმატიკური პისტოლეტის 10-მეტრიან დისტანციაზე სროლაში ქართველმა ტყვიის მსროლელმა მარიამ ფროდიაშვილმა 213,1 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ოქროსა და ვერცხლის მედლები ინდოელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

რაც შეეხება საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრებს, ისინი ევროპის ჩემპიონები უნგრეთის ქალაქი დიორში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გახდნენ, რომელიც სპორტსმენებს 10 მეტრზე პნევმატური იარაღიდან სროლაში მასპინძლობს. კონტინენტის პირველობაზე ახალგაზრდა შერეულ წყვილებს შორის, ისტორიაში პირველად, ოქროს მედალი საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა – მარიამ ფროდიაშვილმა და გიორგი მუმლაშვილი გავიდა, თუმცა, მარიამ აბრამიშვილს და სალომე ფროდიაშვილსაც კარგი შედეგები ჰქონდათ, რამაც გუნდურში გამარჯვება მოგვიტანა. ქართველ სამეულს 1695 ქულა დაუგროვდა და მთელი 14 ქულით (!) გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ იტალიას! მესამე შედეგი გერმანიას აღმოაჩნდა – 1677 ქულა.

აღსანიშნავია, რომ მარიამ ფროდიაშვილმა ევროპირველობაზე უკვე მეორე ოქრო მოიპოვა და მესამესთვის აგრძელებს ბრძოლას. და მესამე ოქრომაც არ დააყოვნა – მარიამ ფროდიაშვილი გოგონებშიც გახდა ევროპის ჩემპიონი, ამჯერად – პირად პირველობაში! თანაც, ევროპის ახალგაზრდული რეკორდით – 242.2 ქულით.

შეგახსენებთ, რომ თელაველმა ტყუპისცალმა ჯერ ქუთაისელ გიორგი მუმლაძესთან ერთად მოიგო შერეულ წყვილთა შეჯიბრება, მომდევნო დღეს კი თავის ტყუპისცალ სალომე ფროდიაშვილსა და თბილისელ მარიამ აბრამიშვილთან ერთად გაიმარჯვა გუნდურ ჩათვლაში. ეს მისი მესამე ოქროა ამ ტურნირზე, დიორში კი ქართული ზღაპარი გრძელდება.

მარიამ ფროდიაშვილმა ინდივიდუალურში მოიგო საკვალიფიკაციო ეტაპი, ფინალში

ძემ ფინალში გერმანელი წყვილი – ცელინა ბეკერი და ედუარდ ბაუმაისტერი ანგარიშით 17:15 დაამარცხეს და ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. მესამე ადგილი აზერბაიჯანელ წყვილს ერგო.

მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სახელით ნინო სალუქვაძე, ლიზი კილაძე, მარიამ მარშავა, ლევან ქადაგიძე, ცოტნე მაჭავარიანი, აკაკი მოსულიშვილი, მარიამ ფროდიაშვილი, სალომე ფროდიაშვილი, მარიამ აბრამიშვილი, გიორგი მუმლაძე, იოანე ხვარეშია და შოთა სუმბაძე ასპარეზობენ.

და აი, უკვე მეორე ოქრო დიორიდან, ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატიდან! იგი საქართველოს გოგონათა ნაკრებმა მოიპოვა. მართალია, პირადი პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ ფინალში ჩვენი სამეულიდან მხოლოდ მარიამ ფროდიაკი უკვე მე-10 გასროლიდან დაწინაურდა და მას შემდეგ კიდევ 14 ზუსტი გასროლა – მან ახლოსაც არ გაიკარა მდევრები. სლოვენიელი მანია სლაკი ბევრს კი ეცადა, მაგრამ დასკვნითი ეტაპი ფროდიაშვილმა ბევრად უფრო მშვიდად, აუღელვებლად ჩაატარა და მეტოქეს 4.4 ქულით გაუსწრო.

ვულოცავთ დებ ფროდიაშვილებს, მათ ოჯახს, თელავს და მთელ საქართველოს ამ ჩინებულ გამოსვლას, მარიამს კი ამ თავბრუდამხვევ წარმატებას, და მომავალშიც დიდ გამარჯვებებს ვუსურვებთ ტყუპებს – ცხოვრებაშიც და სპორტულ სარბიელზეც.

რედაქტორი:
ნელი ცქიტიშვილი
telavisgazetiinfo@gmail.com